უფასო

ჩემი გაზეთი

20 ოქტომბერი
2021 წელი

№3 (54)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.ჰ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

საქართველოს არჩევანი

2 ოქტომბერს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა. ამომრჩეველს სამი ბიულეტენი დახვდა – პირველში მერობის კანდიდატების, მეორე – საკრებულოს მაჟორიტარობის, მესამეში კი – პარტიების. ბაღდათის საკრებულოში მანდატები ასე განაწილდა: ქართული ოცნება 18 მანდატი, აქედან პროპორციული 9 მანდატი და მაჟორიტარული 9 მანდატი; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 7 მანდატი; გახარია საქართველოსთვის 1 მანდატი; ლელო 1 მანდატი. საერთო ჯამში ქართულმა ოცნებამ მიიღო 18 მანდატი და უმრავლესობით შევიდა საკრებულოში, ხოლო ოპოზიციამ ჯამში მოიპოვა 9 მანდატი.

მერის არჩევნებში არჩეულად ითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტს მიიღებდა. ბაღდათის მუნიციპალიტეტში 50% ბარიერის ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა, ამიტომ ბაღდათის მუნიციპალიტეტში, 30 ოქტომბერს მერის არჩევნების მეორე ტური გაიმართება.

კორონავირუსის შემთხვევები ბაღდათში

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა. 19 ოქტომბრის მონაცემებით, ქვეყანაში ვირუსის 670 552 დადასტურებული შემთხვევა ფიქსირდება, მათ შორის გამოჯანმრთელებულია 616 937 ადამიანი, გარდაცვლილია 9 546 პირი, ხოლო ქვეყნის მასშტაბით აცრილია 1 920 934 მოქალაქე.

„ჩემი გაზეთის“ გუნდი ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის გასაგებად ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს ქალბატონ **ნატო მაჩიტაძეს** ესაუბრა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, 19 ოქტომბრის მონაცემებით, კორონავირუსის 2 941 შემთხვევა ფიქსირდება. აქტიურია 499 პაციენტი, გარდაცვლილია 29 ადამიანი, ხოლო თვითიზოლაციაში იმყოფება 970 პირი. ბაღდათის მუნიციპალიტეტში ვაქცინირებულია 6 702 მოქალაქე. მსურველებს ვაქცინის გაკეთება შეუძლიათ ბაღდათის საავადმყოფოში. ჯეო ჰოსპიტალსის ბაზაზე შექმნილია 3 კაბინეტი, 2 ჯავშანის მქონე პირებისთვის და ერთი თავისუფლად მისული მოქალაქეებისათვის. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია 3 ტიპის ვაქცინა (Pfizer, Sinovac, Sinopharm).

„კორონავირუსის შემთხვევები იზრდება. აუცილებელია დავიცავთ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ რეგულაციები და წესები – პირბადის ტარება, ხელების ხშირი დაბანა, დისტანციის დაცვა და ვაქცინაცია“, – აღნიშნა ნატო მაჩიტაძემ.

ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურად მუშაობს კორონავირუსით დაინფიცირებული პაციენტების კონტაქტების მოძიებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების კუთხით. ტარდება ტესტირებები საჯარო და სასწავლო დაწესებულებებში. სწავლა საკლასო ოთახებში 4 ოქტომბერს დაიწყო. კორონავირუსი უკვე დაფიქსირდა რამდენიმე საჯარო სკოლასა და სხვადასხვა დაწესებულებაში. როგორც ქალბატონმა ნატომ აღნიშნა, სკოლებში ვირუსის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ჯგუფი გადადის თვითიზოლაციაში და გაკვეთილები ტარდება ონლაინ რეჟიმში. წინა წელთან შედარებით, წელს პირბადის ტარება სავალდებულოა პირველი კლასიდან. ყველა მოსწავლემ და მასწავლებელმა უნდა დაიცვას ეს რეგულაცია.

ანა ქორიძე

განახლებული გზები, ხიდები და სკოლები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ამ საკითხთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაციის მისაღებად „ჩემი გაზეთი“ მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსს კახა მსხვილიძეს ესაუბრა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის დაფინანსების ძირითადი წყარო გახლავთ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი. 2021 წლის დასაწყისში დაფინანსდა 8 პროექტი, ამათგან 5 (სოფელ წითელხევის შემოვლით გზასა და სოფელ დიმში ე.წ ატეკის საუბნო გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა; ქ. ბაღდათში აღმაშენებლის ქუჩის, სოფ. ზედა დიმში კვირიკაძეების საუბნო გზისა და სოფ. ფერსათში ღვინის მარნიდან ე.წ. თავხელიძეების ბოგირამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია) იყო წინა წელს დაწყებული პროექტი, ხოლო 3 – ახალი პროექტი (სოფ. დიმი ჯ. ღვინჯილიას სახელობის საჯარო სკოლა – სოფ პირველი ობჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა; ქ. ბაღდათში ბაგრატიონის ქუჩის რეაბილიტაცია; ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევში მდ. კორისწყალზე ჩანგრეული ხიდის აღდგენა). წლის მეორე ნახევარში დაემატა დაფინანსება და, საერთო ჯამში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2021 წელს, 17 პროექტი განხორციელდება. მათი საერთო ღირებულება 4,990,865 ლარს შეადგენს. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების გარდა ქ. ბაღდათში განხორციელდება რამდენიმე ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ესენია: მერაბ კოსტავას ქუჩა, ფოცხვერაშვილის ქუჩა, 9 აპრილის ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა და დავით აღმაშენებლის ქუჩის პირველი შესახვევი. რკ/ბეტონის საფარი მოეწყობა სოფელ დიმში თავხელიძეებისა და მინაძეების საუბნო გზაზე; რეაბილიტაცია ჩაუტარდება საავტომობილო გზებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდველაში ე.წ. ზივზივაძე-შველიძეების უბანში, სოფ. ფერსათში ე.წ. ბუიძე-კვირიკაშვილების უბანსა და სოფ. ფერსათში ე.წ. თავხელიძეების ბოგირიდან პირველი საჯარო სკოლისკენ მიმავალ გზას.

დაფინანსების მეორე მიმართულება – „მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები სკოლებში“ წელსაც გაგრძელდა, რაც გულისხმობს სველი წერტილების მოწესრიგებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროექტის ფარგლებში, საპირფარეშოები მოწესრიგდა სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმის №2 საჯარო სკოლასა და სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის საჯარო სკოლაში.

გაგრძელება მე-2 გვ.

განახლებული გზები, ხიდები და სკოლები

დასაწყისი 1 გვ.-ზე

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 11 პროექტი. ესენია: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მე-2 და მე-3 სართულზე საპირფარეშოების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქალაქ ბაღდათში, კახიანის ქუჩა №1-ში რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლის მიმდებარედ არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ. ბაღდათში ბაღდათის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები; ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როხში მდ. კორისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობა და მდინარის კალაპოტის გაწმენდა; ქ. ბაღდათის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის, სოფ. დიმის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობისა და სოფ. ვარციხის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის რეაბილიტაცია; ქ. ბაღდათში შიდა საქალაქო გზების ასფალტ/ბეტონის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოები; ქ. ბაღდათში ბაღდათის ქუჩის, კოსტავას ქუჩისა და ჭავჭავაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელს 366,000 ლარის ღირებულების 38 პროექტი განსახორციელდება. აქედან 20 000 ლარი არის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება. მოსახლეობის მიერ განისაზღვრა პრიორიტეტები: სანიაღვრე სისტემებისა და სასმელი წყლის სისტების მოწესრიგება; გარე განათების მოწყობა; შიდა საუბნო გზების მოხრეშვა და რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა და სხვა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს მასალების შეძენა, ხოლო უშუალოდ სამუშაოების შესრულება განხორციელდება მოსახლეობის აქტიური ჩართულობით.

გასულ წელს ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში ბიზნესგანვითარებისა და ტურიზმის მომსახურების ცენტრის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. კონტრაქტორი კომპანიის უპასუხისმგებლობის გამო, სამუშაოები დიდხანს გაგრძელდა. ხელშეკრულების შესაბამისად, ამოქმედდა საჯარიმო სანქციები. პროექტი 2021 წელს უნდა დასრულდეს.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული 17 პროექტიდან 10 უკვე დასრულებულია. ამ ეტაპზე რამდენიმე ობიექტზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომლებიც ძირითადად გახლავთ საავტომობილო გზების მოწესრიგება. ამისათვის ვიყენებთ რკინა-ბეტონის საფარს, თუმცა განხორციელდა რამდენიმე პროექტი, რომლის ფარგლებშიც გზებზე მოეწყო ასფალტო-ბეტონის საფარი. დასრულდა საკმაოდ კარგი პროექტი – ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევში მდ. კორისწყალზე ჩანგრეული საავტომობილო ხიდის აღდგენა. როგორც იცით, 2020 წელს ხიდი ავარიული მდგომარეობის გამო ჩაინგრა. დაუყონებლივ მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია და 2021 წელს მივიღეთ დაფინანსება აღნიშნულ პროექტზე. სამუშაოები უკვე დასრულებულია და ადგილობრივებს შეუძლიათ ისარგებლონ ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხიდით. ასევე დასრულდა ბაღდათი–ზედა დიმის დამაკავშირებელ საავტომობილო ხიდის მშენებლობა, რომელიც 90-იან წლებში დაზიანდა და შეკეთებას აღარ ექვემდებარებოდა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტებიდან მინდა გამოვყო რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრის წინ მდებარე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც სკვერში განთავსდა გენიალური ქართველი კომპოზიტორის, ჩვენი თანამემამულის რევაზ ლაღიძის ბიუსტი.

წელს ხორციელდება ახალი პროექტი – „განახლებული რეგიონები“, რომელიც დაფინანსებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. პროექტის ფარგლებში მოხდება წერეთლის ქუჩისა და ნაწილობრივ ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს წერეთლის ქუჩაზე მდებარე 2 ორსართულიანი და ერთი ხუთსართულიანი საცხოვრებელი ბინის ფასადების მოწესრიგება. აღნიშნული პროექტი არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინების სახურავის რეაბილიტაციას. ამ პრობლების მოსაგვარებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისა (5% თანადაფინანსება) და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შეძენილია მასალები, უახლოეს მომავალში დაიწყება სახურავის სარემონტო სამუშაოები. საცხოვრებელი ბინების გარდა, ფასადები მოწესრიგდება კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებზეც. სამუშაოები დაწყებულია და მას ახორციელებს კომპანია - ამხანაგობა „დბს“. პროექტის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში მოწესრიგდება საფეხმავლო ბილიკი წერეთლის ქუჩაზე. ასევე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და მერიის შენობის წინ მდებარე სკვერის განახლება. აღნიშნული პროექტის მიზანია ბაღდათის ცენტრში გვქონდეს თანამედროვე, არქიტექტურულად მოწესრიგებული შენობები და მოსასვენებელი ადგილები.

უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის კუთხით ბოლო წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. სოფლების — ნებიერეთისა და ზეკარის გარდა, მოწესრიგებულია ყველა სოფელთან მისასვლელი საავტომობილო გზა. ამას მოსახლეობაც კარგად ხედავს.

სამომავლოდ უკვე გვაქვს მომზადებული საპროექტო დოკუმენტები. მუდმივად ვმუშაობთ პრიორიტეტების შერჩევასა და გამოკვეთაზე. ამ მიმართულებით აქტიურად არიან ჩართული წარმომადგენლობითი ორგანოს თანამშრომლები – ის პირები, რომელთაც უფრო მჭიდრო კონტაქტი აქვთ მოსახლეობასთან. მათ მიერ ჩვენამდე მოტანილი ხალხის ხმის გათვალისწინებითა და მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე ვგეგმავთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

ანა ძორიძე

277 პირველკლასელი და 25 მედალოსანი

მეორე წელია, ქვეყანა უჩვეულო რეჟიმით მუშაობს და ცდილობს ღირსეული მზაობით უპასუხოს სიახლეებსა და გამოწვევებს. „ჩემი გაზეთი“ 2020-2021 სასწავლო წელთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქ-ნ ნინო მშვილდაძეს ესტუმრა.

მუნიციპალიტეტში არსებული ყველა სკოლა ახალ სასწავლო წელს სრული მზაობით შეხვდა. განათლების სამინისტრომ სხვადასხვა მიმართულებით გაატარა საჭირო ღონისძიება, ეს ეხებოდა როგორც სკოლის შენობების ინფრასტრუქტურას, სველი წერტილების მონესრიგებას, სადეზინფექციო საშუალებებს, დეზობარიერებსა თუ პირბადეებს, ასევე სკოლის სახელმძღვანელოებსა და პირველკლასელებისათვის კომპიუტერებით უზრუნველყოფას.

4 ოქტომბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 227 პირველკლასელმა შეაღო სკოლის კარი. გვყავს 25 მედალოსანი, აქედან 21 ოქროს და 4 ვერცხლის მედალს მიიღებს. პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“, რომელიც საბაზო საფეხურის (9 კლასის) წარმატებით გავლის შემთხვევაში კომპიუტერით ასაჩუქრებს, წელს 25 წარჩინებულ მოსწავლეს გადასცემს საჩუქარს.

გასულ წელს მოთხოვნა იყო, საპირფარეშოები გარე სივრციდან სკოლის შიდა სივრცეში მოთავსებულიყო. მოთხოვნა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სკოლაში დაკმაყოფილდა, დარჩენილია 4 სკოლა, სადაც არასაკმარისი ფართის გამო ვერ მოხერხდა სველი წერტილების შიდა სივრცეში მოწყობა.

თითქმის ყველა სკოლამ შეძლო საკუთარი ბიუჯეტით მცირე კოსმეტიკური რემონტის გაკეთება. ორ სკოლაში – სსიპ კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის წითელხევის საჯარო სკოლასა და სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო ატარებს. წითელხევის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემის მონტაჟი (139 000 ლარი), ხოლო დიმის საჯარო სკოლაში პირველი სართულის სრული რეაბილიტაცია (126 000 ლარი). აღნიშნული სამუშაოები სასწავლო პროცესს ხელს არ შეუშლის.

ზამთრის სეზონთან დაკავშირებული თადარიგიც დაჭერილია და ის სკოლები, სადაც ჯერჯერობით ბუნებრივი აირით გათბობა ვერ დამონტაჟდა, სატყეო სააგენტოს დახმარებით საშეშე მერქნით არის მომარაგებული.

ქ-ნი ნინო სკოლაში კადრების მზაობაზეც გვესაუბრა. ამჟამად არცერთ სკოლაში არ არის კადრების საჭიროება. წარმატებით მიმდინარეობს სერტიფიცირების პროცესი.

„ჩემი გაზეთი“ წარმატებულ და მშვიდობიან სასწავლო წელს უსურვებს ბავშვებსა და პედაგოგებს.

აზა მაშანეიშვილი

სამოქალაქო საზოგადოება, საჯარო მმართველობა და ქალთა საჭიროებები

ბაღდათის მუნიციპალიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. თანამშრომლობის ფარგლებში ხშირად ტარდება ტრენინგები, შეხვედრები მოსახლეობისა და დასაქმებული ადამიანებისათვის საჭირო, სასარგებლო საკითხებზე. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას სხვადასხვა სფეროში, მათი უფლებების დაცვას.

2019 წლის ბოლოს ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაიწყო კიდევ ერთი პროექტი – „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“, რომელიც კულტურულ-ჰუმანიტარულმა ფონდმა „სოხუმმა“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ თანამშრომლობითა და ევროკავშირის დაფინანსებით განახორციელა.

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას. ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR) გახდა მნიშვნელოვანი ელემენტი საქართველოში დემოკრატიული ცვლილებების შენარჩუნების კუთხით. რეფორმის ძირითად მიზანს ეფექტიანი და გამჭვირვალე საჯარო მმართველობის მიღწევა წარმოადგენს. ის შეთანხმებულია ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის.

პროექტის ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერში გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი შეიქმნა. იგი მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაერთიანებისკენ, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის დასავლეთ საქართველოში. ფორუმი არის ადგილი თანამშრომლობისათვის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სწავლობენ ერთმანეთისგან და თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ მუნიციპალიტეტებს. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი არის მოსაზრებებისა და წინადადებების შეგროვების შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მასშტაბებით, გეოგრაფიული არეალით, თემატური მიმართულებებით. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა აქტი-

ური მუშაობა გაწიეს საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) განხორციელების მიმართულებით 8 მუნიციპალიტეტში: ხონში, ბაღდათში, თერჯოლაში, ვანში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ცაგერსა და ამბროლაურში.

ტრენინგების სერიის საშუალებით ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აღიჭურვნენ საჭირო კომპეტენციით. მომზადდა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდასაჭერი ქვესაგრანტო სქემა, რომელმაც ხელი შეუწყო აღნიშნული ფორუმის წევრი ორგანიზაციების მონაწილეობას სამოქალაქო დიალოგში თავიანთ მუნიციპალიტეტებში და მათ ფარგლებს გარეთ. ოთხჯერ ჩატარდა საჯარო მმართველობის მონიტორინგი ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ჩართულობის კუთხით. ამას გარდა, ორჯერ განხორციელდა ადგილობრივი საჭიროებების შეფასება. შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებული იყო სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივ სამოქმედო გეგმებში. გამოქვეყნდა რეგულარული ანგარიშები საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) მონიტორინგისა და რეგიონებში მიმდინარე განვითარების შესახებ.

პროექტის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, დაფუძნდა ორი ორგანიზაცია და დაიწყო აქტიური მუშაობა სამუშაო გეგმის მიხედვით. სოფო ნატრიაშვილი (ა(ა)იპ „თანასწორობა ახლა“) და თეონა ქართლელიშვილი (ა(ა)იპ „სამოქალაქო სპექტრი თანასწორობა“) არიან ამ ორგანიზაციების დამფუძნებლები. „ჩემი გაზეთის“ გუნდი სწორედ მათ ესაუბრა ბაღდათში განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების შესახებ.

„პროექტის ფარგლებში გვქონდა შეხვედრა ფონდ „სოხუმისა“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ორგანიზაციის დაფუძნების შემდეგ, რომლის აღმასრულებელი დირექტორიც მე გახლავართ, გავიარეთ ტრენინგ-კურსები. ეს ყველაფერი დაგვეხმარა კონკრეტული აქტივობების განხორციელებაში. როგორც ახალდაფუძნებულ ორგანიზაციას, არ გვქონდა პროექტის მართვის გამოცდილება, ტრენინგების საშუალებით კი შევიძინეთ

საჭირო ცოდნა და უნარები. პროექტის საქმიანობის ფარგლებში ჩამოვაყალიბეთ სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა საჯარო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და აქტიური მოქალაქეებისაგან. ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდათ გურამ კიკნაველიძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს მიერ დამტკიცდა ჯგუფის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით გაწერილი აქტივობები სამუშაო ჯგუფმა ეტაპობრივად შეასრულა. მათ შორის, პრაქტიკის გაზიარების მიზნით მოვიწვიეთ სხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. მათ გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება სამოქალაქო ბიუჯეტისა და პეტიციის დანერგვის კუთხით. მივიღეთ მუნიციპალიტეტის ეთიკის კოდექსი, რომლის დრაფტის მომზადება უზრუნველყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ. აქტიურად დავიწყეთ მუშაობა ჩვენს პირველ პროექტზე – „საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა“, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია მათი უფლებების, თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. პანდემიის გამო ძირითადად ონლაინ რეჟიმში ვმუშაობდით, თუმცა მოსახლეობასთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება მაინც მოვახერხეთ. ჩემი ორგანიზაცია მუშაობდა ახალგაზრდებთან, პენსიონერებთან, მარტოხელა და მრავალშვილიან დედებთან.

ასევე განვახორციელეთ მეორე პროექტი – „სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებების კვლევა“, რომელშიც იდენტიფიცირებული პრობლემების ადვოკატირებას მოვახდენთ გენდერულ საბჭოსთან ერთად. კვლევის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა ქალებისა და გოგონების გამოკითხვა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდით.

ჩვენი ორგანიზაციის „თანასწორობა ახლა“ ფარგლებში ჩამოყალიბდა ქვეორგანიზაცია „სოლიდარობა 21“, რომლის წევრებიც რამდენიმე მცირე პროექტზე მუშაობდნენ“, – აღნიშნა **სოფო ნატრიაშვილმა**.

მეორე ორგანიზაცია, რომელიც პროექტის ფარგლებში შეიქმნა, არის „სამოქალაქო სპექტრი – თანასწორობა“. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი **თეონა ქართლელიშვილი** განმარტავს:

„არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში საჯარო მმართველობის რეფორმის იმპლემენტაციის კუთხით ვახორციელებთ გარკვეულ ღონისძიებებს. შეიქმნა ჩვენი ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდა სამოქმედო გეგმა. დავიწყეთ მუშაობა და მიკრო გრანტების ფარგლებში ორ პროექტში მივიღეთ მონაწილეობა. ჩავატარეთ 10 შეხვედრა პირველი პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის“ ფარგლებში. გამოვიკვლიეთ ადგილობრივების საჭიროებები და გავაცანით მათი უფლებები: თუ როგორ მიემართათ თვითმმართველობისთვის, როგორ მოეგვარებინათ პრობლემები ელექტრონულად. დავარიგეთ ბუკლეტები მოსახლეობაში, ჩავატარეთ ტრენინგები. ჩვენმა მუშაობამ ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. რამდენიმე პირი ელექტრონულად დაუკავშირდა შესაბამის უწყებებს და მოაგვარა საკუთარი პრობლემები. ერთ-ერთი გახლავთ ოპერაციის დაფინანსება საზღვარგარეთ. ჩვენი ორგანიზაცია მუშაობდა შშმ პირებთან, სოციალურად დაუცველ ოჯახებთან, დევნილებთან და პენსიონერებთან.

მეორე საკითხი გახლავთ ანტიკორუფციული დებულების მომზადება. დებულება საკმაოდ მოცულობითი და შინაარსობრივია, მასში ანტიკორუფციული ხედვა სხვადასხვა მიმართულებით არის გადმოცემული. ექსპერტის მიერ შემუშავდა კითხვარი, ჩატარდა კვლევები, გამოკითხვები, განისაზღვრა კორუფციული რისკები და პრევენციის მიზნით აისახა დოკუმენტში. ამ ეტაპზე დოკუმენტი ჩამოყალიბებული და დახვეწილია, რომელიც მალე მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე აიტვირთება და დასამტკიცებლად საკრებულოს სხდომაზე წარვადგენთ. ორგანიზაციასთან „თანასწორობა ახლა“ თანამშრომლობითა და სამუშაო ჯგუფის აქტიური ჩართულობით შეიქმნა ეთიკისა და ქცევის წესების კოდექსი. დოკუმენტი ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. კოდექსი, ერთი მხრივ, მოიცავს საჯარო მოხელეთა ქცევისა და ეთიკის ერთიანი სტანდარტის განსაზღვრას, ხოლო, მეორე მხრივ, ემსახურება ადგილობრივი ხელისუფლებისა და საჯარო სამსახურის მიმართ ნდობის გაზრდას“.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი მოწინავეა ზემოთ აღნიშნული კოდექსების შემუშავების კუთხით. ორივე დოკუმენტი – ეთიკის კოდექსი და ანტიკორუფციული დებულება, არის ინდივიდუალურად შემუშავებული და ბაღდათის საჭიროებებზე მორგებული – გათვალისწინებული და გამოკვეთილია ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ანა ქორიძე

ნიჭიერი თაობა

რუბრიკა „ნიჭიერი თაობა“ კიდევ ერთ შემოქმედ ახალგაზრდას, მიშა აბულაძეს გაგაცნობთ. მან თავის ისტორიას „ჩემი ამბავი“ უწოდა და, მეც გადავწყვიტე, მკითხველის გულამდე სწორედ ასე – მისი ნაამბობის სახით მისულიყო.

ჩემი ამბავი

დავიბადე სოფელ ობჩაში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში. მთელი ჩემი ბავშვობა აქ მაქვს გატარებული. ჩემთვის ეს ადგილი იყო მთელი სამყარო და, მართლაც, საკუთარი ფანტაზიის წყალობით მთელს კოსმოსს, სუპერგმირთა არაერთ შტაბს და ათას გამოგონილ რეალობას სწორედ აქ ვატევდი ბავშვობაში. ამიტომ ჩემთვის ეს ადგილი ყოველთვის მაგიური იყო და ასეთივე იქნება სამუდამოდ. ცოტა ბავშვი იყო ჩემს უბანში. ჩემი და რომ არა, ალბათ ძალიან მარტოსული ბავშვი ვიქნებოდი, მაგრამ მისი სახით საუკეთესო მეგობარი და გვერდით მდგომი მყავდა მაშინაც და ახლაც. ზაფხულობით ჩემი მეგობრები ჩამოდიოდნენ თბილისიდან. საოცარი, უკიდეგანოდ მხიარული ამბები ხდებოდა ამ დროს ჩემი ცხოვრება. პატარაობიდანვე მიყვარდა ისტორიების გამოგონება და ნაწილობრივ თავადაც ამ ისტორიებში ვცხოვრობდი. თანაც, ჩემი ოჯახიც უჭერდა მხარს ჩემს ფანტაზიორობას. ამ ყველეფერმა შედეგი დაწყებით კლასებშივე გამოიღო და მალევე გამოიცა ჩემი ზღაპრების კრებული. მგონი, მაშინ მე-5 კლასში ვიყავი. იმ დროს არც მიგრძვნია თავი წიგნის ავტორად, უბრალოდ ჩემი თამაშები აღვწერე და კაცმა რომ თქვას, მთელი ცხოვრება იმავეს ვაკეთებ – ჩემს გულში ცოცხალ და მხიარულ ბავშვს, ჩემს პატარა ვერსიას უბრალოდ თამაში სურს, მე კი ვიწერ მის იდეებს. ყველა ჩემი მოთხრობის ავტორი ის ბავშვია და არც არასდროს მქონია სურვილი, მე ჩავრეულიყავი. თავად ლექსებს ვწერ მხოლოდ. ასე თამაშ-თამაშით სკოლის დასრულებამდე 3 ზღაპრების კრებული მქონდა გამოცემული. 2012 წელს დავასრულე სკოლა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავირიცხე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. დედის და ბებიის გზას გაჰყვაო ამბობდნენ, მაგრამ სინამდვილეში უბრალოდ იმის კეთება მინდოდა, რაც მიყვარდა. სტუდენტობა ჩემთვის მოქმედებაა და არა უბრალოდ სწავლა, ამიტომ ვცდილობდი, მაქსიმალურად აქტიური ვყოფილიყავი. არაერთი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში მივიღე მონაწილეობა. საენათმეცნიერო წრის პრეზიდენტი გავხდი, 2 ეთნოგრაფიული და 1 დიალექტოლოგიური ექსპედიციის წევრობაც მოვასწარი, გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი, ბევრი მეგობარი შევიძინე... მოკლედ, ისეთი სტუდენტობა მქონდა, როგორიც ყველას უნდა ჰქონდეს, თუმცა სხვებს მაინც კიდევ უფრო კარგს ვუსურვებ. ლექსების წერა აქტიურად სწორედ სტუდენტობისას დავიწყე. უნივერსიტეტსა და მის გარეთ სხვადასხვა გაზეთში, ჟურნალსა და კრებულში გამომიქვეყნებია ლექსი, მაგრამ პოეტობას ჯერ მაინც ვერ ვიბრალებ, თუმცა ჩემი ლექსები გაუზრდელი, თავხედი, მაგრამ მაინც ტკბილი შვილებივით მიყვარს. ახლა დოქტორანტურაში ვსწავლობ თეორიული ლინგვისტიკის მიმართულებით. ვაპირებ, ჩემი კვლევები სემიოტიკის საკითხებს მივუძღვნა. მომავალში ვრცელი რომანის დაწერაც მინდა ფენტეზის ჟანრში. იდეები მაქვს, თუმცა დრო ჯერ ვერ გამოვნახე. ჰობის რაც შეეხება, მიყვარს წიგნების, მანგებისა და კომიქსების კითხვა. ანიმეებისა და ფილმების ყურება. ანიმე, კომიქსი და მანგა ხელოვნების ის დარგებია, რომელთაც ჩვენთან ბევრი არ იცნობს. ამიტომ მათი პოპულარიზაციის საქმეშიც აქტიურად ვარ ჩართული, ძირითადად ფეისბუქგვერდებისა და ჯგუფების საშუალებით. თავადაც მსურს კომიქსის შექმნა, მაგრამ ჯერ მხოლოდ კომიქსთემატიკით გაჯერებულ მოთხრობებს ვწერ.

* * *

რა მაცდურად იღიმი, გზას მთვარედ
ეფინები,
მაგრამ ვიცი სულში გაქვს უსასრულო
ქათსი.
აღარ დარჩა არსაით...
ყველამ ასე ინება –
არსად დარჩა სიცოცხლე,
გარდა სასაფლაოსი.

მეც აჩდილად ქცეული, უნიათო,
დაღლილი,
ვხედავ ქარებს აყოლილ ავ სულების
ზოზიალს.
დამნაშავე კვლავ მე ვარ,
აშკარაა სამხილი,
ცრემლიანი კუთხეში, ჩემი
ანგელოზია.

მაგრამ რადგან აქა ხარ და მინათებ
ამ ღამეს
არ მადარდებს როგორი მძიმე მელის
სასჯელი.
შენ შემიხვევ ჭრილობებს, ნახავ
როგორ მაწამეს.
და აღმადგენ ღმერთივით, დარდისაგან
დაგლეჯილს.

მერე გზას გავუყვებით ნელა,
მდორე დინებით.
მე შენს გულში შენახულ საიდუმლოს
ამოვხსნი.
შენ მაცდურად იღიმი, გზას მთვარედ
ეფინები,
მაგრამ ვიცი სულში გაქვს, უსასრულო ქათსი.

აზა მაშანეიშვილი

ისრაელის გამოცდილება საქართველოსთვის

ივლისში სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულმა 17-მა სპეციალისტმა მონაწილეობა მივიღეთ ისრაელში გამართულ სასწავლო კურსში – „ბოსტნეული კულტურების ინტენსიური წარმოება“. კურსი ორგანიზებული იყო ისრაელის განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო სააგენტო „მაშავის“ მიერ, პარტნიორი ორგანიზაციების თანაგომით: USAID/GEORGIA; THE USAID AGRICULTURAL PROGRAM, USAID ZRDA ACTIVITY IN GEORGIA, UNDP GEORGIA. აღნიშნული სასწავლო კურსით სააგენტოს („მაშავის“) მიზანი იყო ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ექსპერტებისათვის საშუალება მიეცა, გაცნობოდნენ ისრაელის გამოცდილებას და მიღწევებს, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს, რომ შემდეგ საქართველოში დანერგილიყო.

სასწავლო კურსი ძალიან ნაყოფიერი იყო. დავათვალიერეთ ისრაელის მიღწევები სოფლის მეურნეობაში: ბოსტნეული კულტურები ღია და დახურულ გრუნტში, მრავალწლიანი ეგზოტიკური ხეხილის ბაღები, მეცხოველეობის თუ მეფრინველეობის ფერმერული მეურნეობები. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საირიგაციო მეთოდებმა, ფერტიგაციის ტექნოლოგიებმა და ირიგაციის მენეჯმენტმა. საყურადღებოა, როგორაა შესაძლებელი წყლის რესურსის კონსერვაცია, როცა ნალექები ჭარბადაა და მისი გამოყენება, მაშინ როცა გვალვაა. წყალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მცენარისათვის.

და ბოლოს, რა ვისწავლეთ ქვეყნისგან, რომელიც სულ რაღაც 70 წლისაა, სადაც ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 500 მმ-ია (25 მმ-დან 1000 მმ-მდე), ნიადაგის ნაცვლად ქვიშაა და სასმელი წყალიც კი არ მოიპოვება ბუნებრივად. ვისწავლეთ ის, რომ ერს, რომელსაც ახასიათებს უდიდესი პატრიოტიზმი, უზადო შრომისმოყვარეობა, ერთმანეთის გატანა, მიზანდასახულობა და აქვს მაღალი სამოქალაქო თვითშეგნება, იცის დროისა და არსებული ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი, შეუძლია ბუნებას შეებრძოლოს და უდაბნოს მკაცრი პირობები ყველასათვის სასურველ წალკოტად აქციოს.

სოფლის განვითარების სააგენტოს, ბაღდათის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი ია სხილაძე

* * *

იმერეთის განვითარების ცენტრი განაგრძობს საჯარო სკოლებისა და სოფელში არსებული ბიბლიოთეკების მხარდაჭერას. ახლახან ორგანიზაციის წარმომადგენლები ბაღდათის მუნიციპალიტეტის, სოფელ ფერსათის ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ და საჩუქრად ბავშვებისთვის საყვარელი წიგნები გადასცეს. აღნიშნული ინიციატივა, ჭორლდ Vისიონ საქართველოსა და ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, ბავშვთა დაცვის და კეთილდღეობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რომელიც მიზნად ისახავს წიგნიერების პოპულარიზაციას ბავშვებში. ორგანიზაციის სურვილია, თანამედროვე მსოფლიო ბესტსელერი და კლასიკური ლიტერატურა თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის.

* * *

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგსაძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზეთის ომში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას პატივი მიაგო და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკო. არქიმანდრიტმა მამა მაკარ (აბესაძემ) აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. გმირების ხსოვნას პატივი თანამებრძოლებმა და ოჯახის წევრებმაც მიაგეს. სოხუმის დაცემიდან 28 წელი გავიდა. აფხაზეთის ომში ათიათასზე მეტი მებრძოლი დაიღუპა, ხოლო 300 ათასზე მეტი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ჯუანშერ გეგეშიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“